



თ ა ნ ი ქ ი ლ ი ს თ ე რ ა ნ ი ს მ ე რ ა ლ ი ს ს ა ხ ე დ ა ბ ი ს  
ო კ ა ტ რ ა ლ უ ბ ი ს ხ ე დ ა უ ე ნ ე ბ ი ს გ ა ნ ე ვ ა მ ა ნ ე ბ ი ს  
ფ ი რ ა ღ ი ს

Tumanishvili Theatre Foundation

# ქართული პიესა

## 2015



გამომცემლობა „კენტავრი“  
თბილისი  
2016

## დიდი შესვენება

პიესა ერთ მოქმედებად

მოქმედი პირები:

**გურამი** (გუგა) ნატრამე - (29)

**მარიკა** (გუგას მეუღლე) - (27)

გურის კლასელები - (29-30)

კახა ციციშვილი – **ციცი**

დათო გუკულაძე – **გუკუ**

უჩა გულორდავა – **გულო**

ლევან ნასიძე – **ჩომბე** (ხმა ტელეფონიდან)

ვოვა ფოჩხუა – **ვოვა**

მაურებლისთვის განცემნილი ხკამები ხცენაზე, წრეზეა დაღაგებული. ხცენის შეაგულში ხკოლის ძელი მერჩებია ჩამწერივებული. იქმნება საკლასო თახის შთაბეჭდილება. შემოდის ციცი, გულო და კუპა ბიჭებს ხელში პოლიეთილენის პარკები და ფარინგი მობილურები უჭირავთ.

**ციცი:** შექი აანთო.

გულო შექს აანთებს. ბიჭები უხმოდ ათვალიერებენ საკლასო ოთახს.

**გულო:** ხედავ შექნ?!.. ხელი არაა ნახლები. მერჩებიც კი არ შეუცვლიათ.

ბიჭები პარკებს ალაგებენ და მერჩებს შორის იწყებენ სიარულს.

**გულო:** შეედებათ მაინც ამჩემისებს.

**ციცი:** კუპა, შენი დახატული სპილო.

**გულო:** ჰო, ვხედავ.

**გულო:** ამ მერჩებზე 45 წუთი როგორ ვძლებდით, ტო?!

კუპა ერთ-ერთ მერჩების ჩერდება.

**ციცი:** კუპულამე, რა იქო?

**გულო:** მოდი აქ.

ციცი კუპულამ მიღის და მერხს უყურებს.

**გულო:** ფოჩხუას მერხი?

ციცი ჯიბიდან დანას იღებს, ხენის და მერხიდან წარწერის გაფხევას იწყებს.

**გულო:** რა აწერია?

**ციცი:** არაფერი.

**გულო:** აბა რატო აფხიკავ.

გულო ციცისთან მიღის და მერხზე ნაწერს უყურებს.

**გულო:** ვისი დაწერილია?

**ციცი:** ვისი დაწერილი იქნება?

ციცი დანას ჯიბეში აბრუნებს და პარკების გახსნას იწყებს.

**ციცი:** ჰე, მოდი, მერხები შევკრათ.

ბიჭები მერჩებს ეზიდებიან. გულო სახმელს და საჭმელს იღებს პარკებიდან და მერჩებზე ალაგებს.

**გუბუ:** მომიყევი რა ერთი ნორმალურად.

**ციცი:** მისული ვიყავი-მეთქი.

**გუბუ:** ისევ იქ ცხოვრობს?

**ციცი:** დედამისი დამხვდა და ახალი მისამართი მითხრა.

იცი, რა შეცვლილია?!

**გუბუ:** შეცვლილი იქნება, დაბერებული...

**ციცი:** თვითონ.

**გუბუ:** შეცვლილი მაინც როგორი?

**ციცი:** ცოლი ყავს, მუშაობს.

**გუბუ:** მიდიი, ნუ ატრაკებ.

**ციცი:** არ ვატრაკებ, მმაო.

**გუბუ:** სად მუშაობს?

**ციცი:** ბანგში, გაყიდვების მენეჯერია.

**გუბუ:** მოყევი რა?

**ციცი:** რა მოვყვე, ჭელ სახლში ვიყავი, დედამისი დამხვდა, ძლიერ მიცნო... გავუჩერდი ცოტა ხანი. მისამართი მითხრა, მობილურის ნომერიც, ავდექი და პირდაპირ სახლში დავადექი.

**გუბუ:** მერე?

**ციცი:** მერე კარი ცოლმა გამიღო. მეთქი გუგას კლასელი ვარ-ოქო. მაგრა გაუკვირდა, სახლში შემოდიო, გუგა სამსახურშიაო, მოიცა დავურეკავო, იმანაც ნახევარ საათში ვამთავრებ სმენას და მოვალ, დამელოდოს, არ წავიდესო, მარიკას უთხრა.

**გუბუ:** რა გაუკვირდა, კლასელი ვარო, რო უთხარი?!

**ციცი:** ხო რა, არაფერი მოუყოლია კლასელებზე და არც ქონია ვინმესთან ურთიერთობაო. ცოტა ხანი ვისხედით, ყავა დამალევინა, რაღაცებზე მელაპარაკა.

**გუბუ:** რა რაღაცებზე?

**ციცი:** რაღაცებზე რა, არ მახსოვს.

**გუბუ:** იჭორავეთ, შეჩემა!?

**ციცი:** არა, შეჩემა...

**გუბუ:** აბა რას იზამდა ეს.

**ციცი:** შენზე ჭორიკანას არ შევაგინო ეხლა.

**გუბუ:** აბა რა რაღაცებზე, თქვი.

**ციცი:** ბიჭო, ლარის კურსზე, პური რო გაძვირდა, რაღაც

სერიალებზე, რა გამიტრაკეთ, ე?!

**გუბა:** კაი გოგოა?

**ციცი:** რას ნიშავს კაი გოგოა?

**გულო:** კაი ტიპიაო ანუ, კუკუს უნდოდა ეკითხა.

**ციცი:** კი, კაი ტიპია.

**გულო:** შვილი?

**ციცი:** მგონი ელოდებიან.

**გულო:** გითხრეს?

**გუბა:** რა თქმა უნდოდა, მუცელი ეტყობა ალბათ.

**ციცი:** არაფერი არ ეტყობა და არც უთქვამთ. მაგრამ მგონია, რო ელოდებიან.

**გუბა:** მერე?

**ციცი:** მერე მოვიდა რა. ცოლმა გაუდო კარი, ოთახში რო შემოვიდა, მიგხვდი, რო უკვე ნალაპარაკები ქონდათ ჩემზე. დაიბნა, მაგრამ კარგად შემხვდა. ცოტა ხანი სამივე ვისხედით, გლაპარაკობდით.

**გუბა:** კაი სახლი აქვთ?

**ციცი:** ქირით არიან.

**გუბა:** დღევანდელზე რა გითხრა?

**ციცი:** ბიჭები შეკრებას ვაპირებთ სკოლაში-მეთქი. 15 წელი გავიდა, რაც დავამთავრეთ და ბანკეტის მერე ერთხელ არ შეკრებილგართ-თქო. მარიკამ, ამ ცოლმა, მეც მინდაო, მეთქი ცოლები კი არა, კლასელ გოგოებს არ ვპატიუებთ-მეთქი, მარტო ბიჭები ვიკრიბებით-მეთქი. ისე ვუთხარი რა, რო არ წყენოდა.

**გულო:** მერე?

**ციცი:** გუგამაც კაიო. ავდექი და წამოვედი. 10-ზე ჩვენ კლასში-მეთქი.

**გუბა:** ეგრევე დაგოთანხმდა?

**ციცი:** ხო რა, ეგრევე.

**გულო:** რომელი საათია?

**გუბა:** 5 აქლია.

**ციცი:** მოვა სადაცაა.

ბიჭები მერხებზე სხდებიან და ჩუმალ ელოდებიან. ხერვიულობა და შვროთი უტყობათ.

**პაუზა**

**პუბლ:** ფოჩხეუა?

**ციცი:** დამირეგავს, რომ მოიყვანენ.

**გულო:** იცის გუგამ?

**ციცი:** არ მითქამს, თვითონაც არაფერი უკითხავს. არ გაუგია მგონი და არც არის საჭირო, გაიგე, კუპუ? პუბლ... კუგულაძე-მეთქი!

**პუბლ:** რა იყო?!

**ციცი:** რა ხდება?

**პუბლ:** არაფერი.

**ციცი:** გაიგე, რაც გითხარი?

**პუბლ:** ყრუ არ ვარ.

**ციცი:** წასვლა ხო არ გინდა?

**პუბლ:** წასვლა რო მინდა, რაზე შემატყვე?

**ციცი:** ცხვირი გაქვს იატაკში გარჭობილი და იმაზე... ბკითხე ისე, გულორდავა, შენ?

**გულო:** მე, ძმაო, დალევა მინდა.

*სახმელებ ხწვდება და დახმახ იწყებს.*

**ციცი:** მოიცადე ცოტა ხანი. ამას რო უბანში დავადექი იცი ეგ ამბავი? კუპუ?

**პუბლ:** რა ამბავი?

**ციცი:** უბნელ ბასიაკებთან ერთად რო იჯდა ფაცხაში. კაროჩე, მივედი, ყველა გამოწყეპილია, გეგონება, რაღაც მნიშვნელოვანი ხდება რა, როგორც იციან ხოლმე, დილას კოსტუმებით რო ჩალიჩობენ დასალევს. მივედი, გულო ვნახე, გადავკოცნე, უბნელმა ჯიგარმა – დაილოცეო, ძმაო.

**გულო:** ვალერამ.

**ციცი:** მომაწოდა ჭიქა. უცებ ეს ტიბი რა, ერთი 50 წლამდე ბიძაა.

**გულო:** რა ბიძა, 35 წლისაა.

**ციცი:** ხო, რაც არის, მათქმევინე, გესმის, კუპუ?

**პუბლ:** მესმის.

**ციცი:** მაგიდაზე დგება რა, ნახევარი ტანით ზემოთ ვაზის ფოთლებში იმალება და ჩამოდის. მეთქი გაგიმარჯოთ აქეთ-იქით, ვხიე ეს არაყი და ეს ბიძა მუჭით უურძნის წვრილ ტოტებს მაწვდის რა, ძმაო, მიაყოლეო... რა

უქმური ხარ შეჩემა, ერთი გაგელიმოს მაინც...

**გულო:** მაგრა გააქვს, შე გოიმო.

**ციცი:** მეც მაგას არ ვამბობ?! ჩავდეჭე, ისე გაასწორა, მიმიქარავს.

**პუპუ:** არ მინდა რა...

**ციცი:** რა?

**პუპუ:** წასვლა მინდა.

**ციცი:** სახლში გინდა?

**პუპუ:** სად მინდა, ეგ ჩემი საქმეა. მე გეუბნები, სად არ მინდა.

**ციცი:** ხოდა, სად არ გინდა?!

**პუპუ:** აქ არ მინდა, აქ! რო იძახი, გუგას გაუკვირდაო, მაგის ცოლს გაუკვირდაო, მე რა, არ გამიკვირდა? გულორდავა, არ გაგიკვირდა ეს რო გამოგეცხადა?

**გულო:** გამიკვირდა.

**პუპუ:** 15 წელია ერთმანეთი არ გვინახავს, ნახვას თავი დაანებე, არ მოგვიკითხავს. უცებ მეცხადები სახლში და უნდა შევიკრიბოთო, მეუბნები. თან სადმე რესტორანში ან სახინკლეში ან საღმე კი არა, კლასში. რომელს გახსოვთ ერთი კარგად ეს ბანბი სკოლა, ეს დედამოტყნული კლასი, თქვით რა უბრალოდ, რომელს გახსოვთ კარგად და გავჩუმდები.

**ციცი:** თუ წასვლა გინდა, წადი.

**პუპუ:** ეხლა კაი დროსია. საერთოდ არ უნდა მოვსულიყავი. იცი, რისი ბრალია?

**ციცი:** რისი ბრალია?

**პუპუ:** რო დაგიჯერე და მოვედი, იმისი.

**გულო:** წადი მართლა, თუ არ გინდა, რა კონცერტებს მართავ აქ. გიჭერს ვინმე?

**პუპუ:** მინდა, მარა არ წავალ.

**ციცი:** აბა რადას ატრაკებ?

**პუპუ:** ვჩუმდები, ვხო.

**გულო:** მმობას გაფიცებ, რისი თქმა გინდოდა?

**პუპუ:** ყლე რო ვარ, იმისი.

*ბიჭებს უცინებათ.*

**პუპუ:** იცინეთ, ხო. ეგერ ჩომბე, ძმაო, ჭკვიანი კაცი, ზის

სახლში წყნარად.

ციცი: დავურეკავ კიდე, შეიძლება მოვიდეს.

ხიჩუძე. შემოდის გუგა. ხელში სახმელი უჭირავს.

გუგა: კლასს გაუმარჯოს.

ციცი: ვა, მოხვედი?

ძიჯები დგებიან და გუგას სათითაოდ გადაკოცნით  
ესალმებიან.

გუგა: მოვედი ხო, აბა რა გეგონა?

ციცი: რა ვიცი, მეოქი არ მოხვიდოდი.

გულო: რავა ხარ გუგა?

გუგა: არამიშავს, თქვენ რავახართ? რატო არ უნდა  
მოესულიყავი?

ციცი: უნდა მოესულიყავი, აბა რა.

გუგა: მაგარი ადგილი კი აგირჩევიათ შესაკრებად.

გუგუ: მეც მაგას არ ვამბობ? იდებ რა უყოს ადარ იცის  
ციციმ.

ციცი: ამაზე მაგარი ადგილი 15 წლის უნახავი კლასელების  
შესაკრებად მეტი რა გინდათ, ძმაო. რითი ხართ  
უცმაყოფილო?

გუგუ: შენ იყავი, კაცო, კმაყოფილი.

ციცი: გუგა.

გუგა: რა იყო?

ციცი: რა იყო?

გუგა: რა რა იყო?

ციცი: რა ხდება-თქო...

გუგა: აა არაფერი. ვათვალიერებ. გარედან კი არის  
შეღებილი, გეგონება რამე.

გულო: გურამას პონტია რა, ჩემი უბნელი იყო, მაგარ  
საკაიფო ფლიაშვაში ლარიანი ჩეკუშვა ესხა ხოლმე.  
საწყალი, როგორ დაიღუპა.

გუგუ: გულორდავას საბუტილნიკის ხსოვნა იყოს.

გულო: დავაი რა, დიორგაი, სიმონ. ხოდა ხო, ხელი არ  
უხლიათ. მერხებზე წარწერები და ნახატებიც ეტყობა.

გუგუ: ერთი ამოვჩხაპნეთ.

გუგა: რომელი?

ციცი: ფოჩხუას მერხზე შენი დაწერილი.

**გუგა:** რა ეწერა?

**ციცი:** აღარ გახსოვს?

**გუგა:** რა მახსოვს, შეჩემა, 15 წლის წინ რა მივაჯდაპნე.

**ციცი:** დაიკიდე რა. სასმელი მოიტანე?

**გუგა:** ორი ბოთლი ვისკია.

**გულო:** ვას, ვას, ჩვენ კიდე არაყით ვაპირებდით დამის გატანას. საიდან ეს ნაირ-ნაირი სასმელები?

**გუგა:** სამსახურში მაჩუქეს.

ძიჭვით, საუბრის პარალელურად, მერცხებს გარშემო უსხედებიან და დასაღევვად ემზადებიან.

**გულო:** ქამუ ჭიქები გააძრე. გილოცავ დაოჯახებას მართლა, ციციმ გვითხრა.

**გუგა:** მადლობა, ძმაო.

**კუპა:** ჯანმრთელად და ბედნიერად, ძმაო.

**გუგა:** დიდი მადლობა. თქვენ როგორა ხართ მაგ ამბავში?

**ციცი:** აგერ გულოს სამი ცოლი ყავს გამოცვლილი, ორი მოუკვდა, მესამე თვითონ მოკლა.

**გულო:** ეკაიფე მამაშენს, ბიჭო.

**გუგა:** სერიოზულად, ცოლი არ მოგიყვანიათ?

**ციცი:** არა, ძმაო. ცოლი და კაი ცხოვრება სადაა. დამსახურება უნდა ალბათ ყველაფერს.

**კუპა:** დამსახურება კი არა კაი სამსახური და ფული უნდა. ეგრე შეიძლება შეუყვარდე ვინმეს, შენც შეგიყვარდეს, მარა უფულოდ ისე გადაუყვარდები, უკან მოხედვას ვერ მოასწრებ.

**ციცი:** აწუწუნდა ქუბულაძე.

**კუპა:** ეგრეა, ძმაო. ფული საჭიროა. ხელის ჭუჭყია, მაგრამ მაგის გარეშე პრობლემები არ გვარდება და შემცი თუ გინდა.

**გულო:** არ დავლიოთ?!?

**გუგა:** სულ ესა ვართ?

**ციცი:** ფოჩხუა მოვა და ხო, სულ ესა ვართ.

**გუგა:** როგორაა ვოვკა?

**ციცი:** არაუშავს.

**გუგა:** დანარჩენები?

**კუპა:** დანარჩენები ვინ. გელბახიანი ამერიკაშია, დოლიძე

და მაყაშვილი თურქეთში წავიდნენ, მაგათი მამლუქი პირში შევეცი. სკოლის მერე ერთადერთი ეგენი იყვნენ, ვისთანაც მქონდა ურთიერთობა, წავიდნენ და ისე დაიკიდეს აქაურობა, ერთი არ დაურეკავთ. მე რა, ოჯახში არ დაურეკავთ, მე ვის დავპარგივარ... კიდე ვინ...

**გუგა:** გოგოები?

**ციცი:** გოგოების გარეშე-მეთქი, ხო გითხარი?!

**გუგა:** მახსოვეს, შეჩემა, ისე ვიკოთხე, სად არიან-მეთქი.

**ციცი:** ეგენიც დაფანტულები რა. ზოგი სამუშაოდ წასული, ზოგი ნააღრევად გათხოვილი და გაუბედურებული. მერკვილაძის ამბავი არ გეცოდინება შენ.

**გუგა:** წრიპასი?

**ციცი:** ჰო... საგიჟეთში წევს.

**გუგა:** შიგ ხომ არ გაქვს!?

**ციცი:** არა, ძმაო.

**გულო:** საწყალი გოგო, ტო. რო გავიგე, მაგრა მეწყინა.

**გუგა:** რა მოუვიდა?

**გუგა:** ეგ ხო ჩემი მეზობელი იყო. სკოლას რო მოვრჩით, ერთ ბირჟავიკს გაყვა ცოლად. გაყვა რა, მოიტაცა იმ ახვარმა რა. მოიტაცა, ძალა იხმარა და წრიპას მშობლები და მაგის სირი ძმა რო ჩავიდნენ წამოსაყვანად, იმ ახვრის მამამ საქმე გაკეთებულიაო, სახელის გატეხვას არ გირჩევთო, ხო ხვდები, როგორც ხდება ხოლმე. დატოვეს რა წრიპაც, ესეც დარჩა, რა ექნა. გაუჩნდა შვილი, ბიჭი, პატარა მამამისი. დედა ეს მინდა, დედა ის მინდა, გაწყდა წელში ეს წრიპაც და სამუშაოდ იტალიაში წავიდა რა, ბარიში. იქ კაროჩე იმდენი ქართველია თურქე მომვლელად ჩასული, პიზდეც. მერე იქ რა მოხდა, არავინ იცის. ამის ქმარს დაურეკეს, შენი ცოლი ჩამოგეყავსო, ჩამოიყენეს და შერყეულია რა. გაგიჟდა გოგო.

**გუგა:** ვაახ, ბიჭო...

**ციცი:** ეგვო ამბებია, ძმაო. ჩვენ შეკრებას გაუმარჯოს.

ბიჭები ხელში იღებენ ჭიქებს და სვამებს.

**დანარჩენები:** გაუმარჯოს.

**გუგა:** ხელის დაბანა არ გინდათ?

**ციცო:** სუფთა გვაქვს.

**გუგა:** ჩვენ ბოდიში რა, მოვალ...

**გუგა** ოთახიდან გადის.

**გულო:** ციციშვილი ესაა შეიცვალაო? მე ვერაფერს ვატყობ.

**გუგა:** ციციშვილს რო კაცი დაუჯერებს, ყლეა, აბა რა არის.

**ციცო:** შეცვლილია, აბა რა არის.

**გუგა:** ისევ ისეოთ ნასტირნია, როგორიც იყო, დაბოხებული ხმით და შენელებული ტემპით. რას აპირებს? საერთოდ რას ემსახურება ეს შეხვედრა, ნორმალურად შეგიძლია ამისსნა?

**ციცო:** რას უნდა ემსახურებოდეს? კლასელების ნახვას, დალევას, ძველი დროის გახსენებას.

**გუგა:** ძველი დროის – თორე სუ კარგად გახსენდება. ეგენი მოუყევი იმას რა ქვია, გუგას ცოლს, კლასელები კავდებით, მოგვენატრა ერთმანეთი.

**გულო:** კაი, კუკუ, ნუ აიკრიფე, თორე დავიშლებით.

**ციცო:** წასვლა გინდა?

**გულო:** მე მკიდია, სასმელი არის? არის. დანარჩენზე თქვენ მორიგდით.

**ციცო:** ვოვკაზე ბაზარი არ იყოს, გამიგეთ?

**გულო:** რა ბაზარი არ იყოს?

**ციცო:** რაც დაემართა, მაგაზე არ იყოს-მეთქი.

**გულო:** იყოს-მეთქი კი არა, რა არის, სიურპრიზს უმზადებ?

**ციცო:** არაფერს არ ვუმზადებ.

**გულო:** აბა შიგ ხომ არა გაქ?! რატო აყენებ კაცს ეგეთ მდგომარეობაში?

**ციცო:** ბიჭო, ერთხელ და ორჯერ გელაპარაკე მაგაზე?

**გუგა:** მოიცა, რა ლაპარაკია, რა ხდება საერთოდ?

**გულო:** არ მოსულა, ციციშვილი, მასე, შენც ხვდები და ნუ გამოყდევდები ბოლომდე...

**გუგა:** რა ხდება, ბიჭო!?

**ციცო:** მაცადე. კუკუ...

**გულო:** ეტყვი. თუ არადა, მე ვეტყვი. კაცი არ უნახავს რამდენი ხანია, არც ეუბნები და რა გინდა, რო შემოვა, ცუდად გახდეს და დაენძრეს თუ რა გინდა?!

შემოდის გუგა. ბიჭები ხაუბარს წყვეტებ, ციცი და გულორდავა ერთმანეთს თვალს აშორებუნ.

**გუბუ:** მიაგენი?

**გუგა:** აბა რა ვქენი...

### პაუზა

**გუბუ:** გულო, შეავსე, თორე შენი ცოდვით დავიწვი.

**ციცი:** ჰოდა, ეგეთი ამბებია, გუგა, ძმაო, სხვა რა გითხრა, აბა, რითი დაგასევდიანო.

**გუგა:** ჩომბე სადაა?

**გუბუ:** ჩომბე სახლში ზის და შვილებს უცვლის პამპერსებს.

**გუგა:** ვა, მალადეც, ჩომბიკ.

**გუბუ:** მალადეც აბა რა, ორი ბიჭი, ერთი გოგო.

**ციცი:** დავურეკე იმ დღეს, მარა რად გინდა, არ მცალიაო. მეთქი ბიჭები ვაპირებო შეკრებას, რამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს-მეთქი.

**გუგა:** მერე რაო?

**ციცი:** რაო და ისაო, ესაო, თქვენი დიდი ხათრი კი მაქვსო, მააგრამ... ხათრთან ერთად მაგრად მკიდიხართო.

**გუბუ:** ეგრე არ უთქვამს.

**ციცი:** შინაარსი ეგ იყო. გულოა მოწმე.

**გულო:** მოწმე მამაშენია.

**ციცი:** ნუ შეეცი, ბიჭო, ამ მამაჩემს.

**გულო:** საქმის თვალი ვარ მე.

**გუგა:** თქვენ ნახულობდით ხოლმე ერთმანეთს?

**ციცი:** ჩვეენ? არა. ერთი ორი კვირის წინ რო მომიარა თავში შეხვედრის ამბავმა, მერე დავუარე ყველას რა. რა იყო რო?

**გუგა:** არაფერი, ისე.

**გულო:** მაგარი კაცია ჩომბე, სიმონ. ერთადერთია, ვისაც ოჯახი ყავს, ძმაო.

**ციცი:** ერთადერთი როგორაა, გუგას არ თვლი?

**გულო:** როგორ არ ვთვლი, ოჯახი – მე ვგულისხმობ მთელ კომპლექტს რა. ცოლი, შვილები.

**გუგა:** ნატრა (გუგა), შენ რამდენი ხანია რაც დაოჯახდი?

**გუგა:** ორი წელია.

**გუგა:** შვილს არ ელოდებით?

**გუგა:** არა, შვილს ჯერ არა.

**გუგა:** რას ელოდები მერე?

**ციცი:** როგორ არ მევასება ეგეთი კითხვები რა, შენ გაბაროს ეხლა აჩოტები.

**გუგა:** ციციშვილი, მე გავცემ პასუხს... ჯერ სხვა პრობლემები უნდა მომეგვარებინა, ბინა, სამსახური, ხო ხვდები.

**გულო:** შენი ცოლი რას საქმიანობს?

**გუგა:** სამედიცინოზე სწავლობს, მომავალი ქირურგია.

**გულო:** მედიცინაში კაი ფული იშოვება.

**გუგა:** ისე რა... ესე იგი ჩომბეჭ – ერთი თქვენი კარგი მოვტყანო არა?!

**ციცი:** ვუთხარი, გუგაც იქნება და მაგრა არ ესიამოვნება შენი არყოფნა-თქო.

**გუგა:** ეგ რატომ უთხარი?

**ციცი:** ვიფიქრე, დავაშინებ-მეთქი... მაგრამ ჩემი ფეხები, არ გაჭრა. მოიყვანონ ფოჩხუა და დაგურექავ კიდე.

**გუგა:** ფოჩხუა მალე მოვა?

**ციცი:** არ ვიცი, მოიყვანენ რა...

**გუგა:** ვინ უნდა მოიყვანოს?

**გუგა:** მძღოლი ემსახურება, შავი S კლასით დადის და ჰექუაზე არაა. არ იცოდი?

**გუგა:** არა, საიდან, რა იშოვა ასეთი?

**გულო:** მოიგვარა. სახელით არის.

**გუგა:** რაა?

**გულო:** ქურდია რა.

**ციცი:** შენ რამე საწინააღმდეგო ხომ არ გაქვს?

**გუგა:** მე რა უნდა მქონდეს საწინააღმდეგო?

**ციცი:** რა ვიცი აბა. კლასელობაში ერთი ქურდი ხო უნდა გვყოლოდა. შენ ხელი აიღე, ძმაო, მუშაობა დაიწყე, ცოლი მოიყვანე.

**პუბლი:** რო მოვა, ფეხზე ავდგეთ და ხელზე ვემთხვიოთ  
რა, მაგრა გაუსწორდება, წვენც ქულებს დავიწერთ,  
რა იცი რაში გამოგვადგეს. იქნება, რომელიმე ტრაქში  
ამოდებული ბიზნესი მოგვაბაროს.

**ხიჩუმე.** გუგა ღდნავ გაურკვევლობაშია. ბიჭები ერთმანეთს  
გადახდავენ. ციცი ჩაიფხუკებებს. ბიჭებს ხიცილი  
უტყვდებათ.

**გუგა:** ხუმრობთ, ბიჭო?

**ციცი:** რამკიანი ქურდი ვოვპა ფოჩხუა, თითზე დიდი  
პერსტენი, შავი რეიბანები, S-კლასით დაგრიალებს  
თბილისის ქუჩებში.

**გუგა:** თქვენ შეგეცით რა...

**ციცი:** რა თქვი?

**გუგა:** თქვენ შეგეცით-მეთქი, რა ვთქვი.

**ციცი:** გეხუმრეთ, რა იყო. მარა მოყვანით მართლა მოიყვანენ.  
ახალი კლიჩა იცი ფოჩხუასი?

**გუგა:** საიდან უნდა ვიცოდე.

**ციცი:** პეტოტა ნა კალიოსას.

**გულო:** ე, ე, რა ბაზარია?!

**პუბლი:** შენ ვინ გეითხავს, კაცმა თვითონ დაირქვა.

**ციცი:** ჰო, აბა მე კიარ შემირქმევია.

**პუბლი:** მაგარი კაცია, ეგეთ მდგომარეობაში კიდე დადაობის  
თავი რო აქვს, გმირია მა რა ჩემი ყლეა.

**გუგა:** რა მდგომარეობაში, რა მოუვიდა?

**ციცი:** უბნიდან გადახვედი – გადახვედი, კაი, ან ფეისბუქი  
არ გაქ, ან აღნაკლასნიკი, რა ჭურში ზისარ ასეთში?

**გუგა:** თქვი, რა მოუვიდა?

**ციცი:** დაინვალიდდა რა. კალიასკით მოძრაობს.

**გუგა:** რას იგონებ, შეჩემა?

**ციცი:** მოვა და თვითონ ნახავ.

**გუგა:** ჯერ ქურდიო, მერე ინგალიდიო, იცი, რას გეტყიოთ,  
ქმებო...

**ციცი:** ჩემი დედა მოვტეან!..

**ციცი:** ომახიანად იგინება. გუგა შეკროვება.

**ციცი:** მმაო... არაფერს მე არ ვიგონებ... რაც არის, იმას  
გეუბნები. მოიყვანენ და შენ თვითონ ნახავ. მანამდე  
დაგლიოთ, გულო, დაასხი.

**გულო:** დასხმულია და გელოდებით, როდის მორჩებით.

**ციცი:** თქვი რამე.

**გუგა:** გაგიმარჯოთ.

**გუგუ:** გაგვიმარჯოს.

**ციცი:** გაგიმარჯოთ.

## პაუზა

**გუგუ:** კიკნაძის პანაშვიდი გახსოვთ?

**ციცი:** როგორ არ მახსოვს.

**გუგუ:** ყველა შტერებივით რო ვიცინოდით, ერთი ფოჩხუა ბლაოდა.

**გულო:** პატარები ვიყავით. მეორე კლასში, რა ვიცოდით სიკვდილი და ეგეოთები.

**გუგუ:** ფოჩხუამ იცოდა ეტყობა. მართლა ყველა როგორ ვიცინოდით, შემრცხვა ეხლა უცებ.

**გულო:** იმ მეზობლის დედას რო შევეცი მე, იმ ჯებირების ამოღებისთვის და ფეხში შეკეთებისთვის.

**ციცი:** მაგაზე რამდენი მაქ იცი ნაფიქრი?

**გულო:** მერე? შემთხვევით ხო არ შემოგემართლა ის კაცი?

**ციცი:** რა იყო, დაგარტყა უპვე სპირტმა? ეგ არ მითქვამს. უბრალოდ წარმოიდგინე რა, ზამთარია, შვილები იყინებიან, შეშა არ იშოვება, შუქი არა, წყალი არა, გაზი ხო არა და არა.

**გულო:** ხო, მერე?

**ციცი:** საჭმელზე აღარაფერს ვამბობ. გამოდის ეს კაცი და სადარბაზოს ხის ჯებირებს ხსნის, შვილები რო გაათბოს რა.

**გულო:** რა გინდა მაგით რომ თქვა? შვილები ვის არ ეყინებოდა, შეჩემისა, იმ დროს, ჩემ ძმას ფეხზე ორი თითი აქვს მოჭრილი მაგის გამო, მარა მამაჩემი ან მე არ გავსულვართ და სადარბაზოდან და სხვების სახლებიდან არაფერი არ წამოგვიდია. ხელი რო არ ეხლო, არ გაცურდებოდა ის საწყალი და არ დაასკდებოდა მერვე სართულიდან მიწას.

**პუბშ:** რა მიწას, ჯერ პირველი სართულის სახურავს, მერე მიწას.

**გულო:** ეს ჯერ ხმას არ იღებდა, ეხლა საერთოდ ისეთებს ამბობს (კუკუ), მასე იყო.

**გულო:** ვიცი, მასე რო იყო, არაა საჭირო დაკონკრეტება. იქნებ ისიც თქვა, სახით დაეცა თუ ზურგით, ტვინი დაასხა თუ ძლების მოტეხილობით გარდაიცვალა?!

**ციცი:** ბიჭო, მე არ ვამართლებ იმ კაცს.

**გულო:** აბა რას აკეთებ?

**ციცი:** ხანდახან წარმოვიდგენ ხოლმე რა.

**გულო:** რას წარმოვიდგენ ხოლმე.

**ციცი:** რას ფიქრობს ეხლა... სადაა, როგორაა, ამეებს. მეტი არაფერი. უბრალოდ სად არის, როგორ არის და მორჩა.

**გულო:** შევეცი, სადაც არის და რაზეც ფიქრობს, იმაშიც შევეცი.

**პუბშ:** მეც ვიტირე, კიკნაძის ამბავი რო გავიგე.

**გულო:** კველა კბილი გიჩანდა, ისე იცინოდი, რა იტირე?

**პუბშ:** სახლში ვიტირე.

**ციცი:** იქ რა გაცინებდა აბა?

**პუბშ:** ყველა იცინოდით და მეგონა, ეგრეც უნდა ყოფილიყო.

**ციცი:** სახლში ყველამ ვიტირეთ, შეჩემა.

**გულო:** გუგა, შენ იტირე?

**გუგა:** ჰა?

**გულო:** კიკნაძის ამბავი რომ გაიგე, იტირე-მეთქი?

**გუგა:** არა, არ მიტირია. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა.

**პუბშ:** რო გავიგე, ავტირდი და პირველი რა ვუთხარი, იცი, დედაჩემს?

**გულო:** ნეტა მე მოვმკვდარიყავიო?

**პუბშ:** არა, ნეტა კიკნაძე არა და ხუციშვილი მომკვდარიყო- მეთქი. აი ეგრე ბავშვურად უცებ წამომცდა რა.

**გულო:** დაგაჯვი მაგ ენაზე. ეს თარსი ვინ ყოფილა.

**ციცი:** დაიცა ბიჭო, მართლა, ტო?

**პუბშ:** მეცხრე კლასში ხუციშვილი რო მოკვდა, მერე გამახსენდა ეგ სიტყვები.

**გუგა:** ეს 15 წელია არ გინახავთ ერთმანეთი?

**ციცი:** არა-მეთქი, რამდენჯერ უნდა იკითხო?

**გულო:** და რატო კითხულობ, რა გვეტყობა?

**გუგა:** ისე რა, ახლობლურად ხართ.

**გულო:** ციციშვილმა შარშან დამირეკა პირველად და ტელეფონში სუ ყლეო მექახა. მეც ვექახე, რა ახლობლობა უნდა მაგას?

*ციცის ტელეფონი რეაგება.*

**ციცი:** ფოჩხუაა.. პო, ვოგძა. პაი, ეხლავე... (*ტელეფონის თოშავე*) კუპუ, ჩადი რა.

**გუგა:** პაი.

**გულო:** მეც წამოვალ.

**გუგა:** დარჩი, მე ვიზამ.

**ციცი:** იჯექი რა.

*ციცი გადის.*

**გულო:** თავისით მოვიდა?

**ციცი:** მმამ მოიყვანა ალბათ... რაო, გურამ, ხასიათზე ვერ ხარ?

**გუგა:** შენ ხაარ?

**ციცი:** თავიდან რო გავიგე მეც დავმძიმდი, მერე ვნახე და გადამიარა. თვითონაა სხვანაირად მოქოქილი.

**გულო:** ნატრაქე (გუგა), სამსახურში რა გავალია?

**გუგა:** გაყიდვების მენეჯერი ვარ.

**გულო:** ეგ რას ნიშნავს ადამიანურ ენაზე?

**გუგა:** ბანკის პროდუქტებს ვთავაზობ კლიენტებს, სახელფასო ბარათებს, საკრედიტო ბარათებს, ანაბრებს.

**გულო:** ხალხს აბოლებ, კაროჩე?

**გუგა:** დასაბოლებელი უნდა დაბოლდეს.

**ციცი:** აბა რა.

**გუგა:** დიდი ხანია, რაც ეგეთ დღეშია?

**ციცი:** ფოჩხუა? 18-ის გახდა თუ არა, კონტრაქტით წავიდა ერაყში, სამი თვე იყო სულ იქ და დააბრუნეს. თვითონ მოყვება უკეთესად.

**გუგა:** დიად ბაზრობს?

**ციცი:** მეტი ლია არ გენახოს.

**ბიჭები ჩუმდებიან და დანარჩენების დაბრუნებას ელოდებიან.**

**ციცი პერიოდულად გუგას უყურებს ფარულად და მის რეაქციებს აკვირდება.**

**კუკუს ეტლში ჩასმული ვოგვა შემოჰყავს. ვოგვა გამხდარია, გაღული, ხახის ცალი მხარე კი დამახინჯებული აქვს, თვალი ამოთხრილი. ახლაც და შემდგომშიც, ხაღი თვალი მუდამ იატაჯზე აქვს მიშეგრებული, მხოლოდ პერიოდულად ამოხედავს ხოლმე მოსაუბრებს. მის დანახვაზე გუგას ხახე ელექტრება.**

**ვოვგა: უსაქმურებს სალამი.**

**ციცი, გულო და გუგა ფეხზე დგებიან და ვოვგას კენიამდართებიან.**

**ვოვგა: გუგა, როგორა ხარ?**

**გუგა: არა მიშავს ვოგვა, შენ როგორ ხარ.**

**ციცი: ზდაროვა, პეხოტა.**

**ვოვგა: ციციშვილი, შე ჩათლახო. ზდაროვა ბამჟარა. კიდე არაუში ლბები?**

**გულო: ბოდიში მოიხადე, ძმაო, ვისკის გეახლები.**

**ვოვგა: ვის მიყიდე შენი მყრალი სული?**

**გულო: ვის რაში ჭირდება, სიმონ.**

**ციცი: გუგა, ჩაიწიე რა. აქ ჩავსვათ ფოჩხუა.**

**ბიჭები ჩაიწევ-ჩამოიწევიან. ვოვგას გუგას გვევრდით უწევს თავისი ეტლით დაჯდომა.**

**ვოვგა: გუგა, რავა ხარ, რამდენი ხანია შენზე არაფერი მსმენია.**

**გუგა: მეც, ბიჭო, და გამოვშტერდი, ეხლა რო გავიგე, ბოდიში რა...**

**ვოვგა: შენ გგონია, ამათმა თავები გაიგიუეს? ორი კვირაა, რაც გამოჩნდნენ, მანამდე რომელს არ ვეკიდე, კითხე ერთი.**

**ციცი: ყველას, ძმაო, ყველას მაგრად გვეპიდე.**

**ვოვგა: ასევე, გენაცვალე, იცოცხლე და იდლებრძელე.**

**გულო: დალევ?**

**ვოვგა: არა, მანქანით ვარ... დავლევ, რას მექითხები?!**

**გულო: მაინც გკითხე რა.**

**ვოგძა:** დავლევ, დავლევ... ვაა, აზრზე ხარ, ხელი არა აქ  
სკოლას ნახლები ხო?

**გულო:** თითიც კი არ აქვს ნახლები, სიმონ.

**ვოგძა:** მერხებიც არ შეუღებავთ, არა?

**ციცი:** პიკასოს ხარი და კუკუს სპილო ისტორიას რჩება.

**ვოგძა:** ეტლით გამოვორდება, ბიჭებს გამოეყოფა და თავისი  
ძერხისექებ მიღის. ციცი იძაბუბა.

**ვოგძა:** ეს ვინა ქნა?

**ციცი:** რა ვინ ქნა?

**ვოგძა:** „ფოჩხუა ყლე“ რო ეწერა, ვინ წაშალა?

**ციცი:** საიდან მოიტანე, რო ეწერა?

**ვოგძა:** შენ მასწავლი ეხლა, ჩემ მერხზე რა ეწერა. რო არც  
ვშლიდი, ეგაა მუდამი.

**გულო:** რატო არ შლიდი მერე?

**ვოგძა:** კალიგრაფია მომწონდა.

ბიჭებს ეცინებათ. გუგა ჩუმად არის.

**ვოგძა:** რამდენი წავშალე, იმდენი ახალი დაწერილი  
დამხვდა და ბოლოს ამის დედაც ვატირე-მეთქი, გულში  
კი მოვისხენიე დამწერი.

**ციცი:** ლოცვა-დიდებით არა?

**ვოგძა:** მაშ. სულ ესა ვართ? ჩომბე არ აპირებს მოსვლას?

**პუპუ:** ჩომბემ – არაო.

**ვოგძა:** მართლა ჩომბეა რა. დავურეკოთ, იქნებ  
გადაიფიქრა?

**ციცი:** ჩემ ნომერს არ უპასუხებს. გუგა დაურეკე რა, იქნებ  
უარი ვერ გითხრას.

**გუბა:** უარი რატომ ვერ უნდა მითხრას?

**ციცი:** ძველი დამსახურებების გამო, რა ვიცი. შეჩემა, ცადე  
რა. აჯა ნომერი.

**ციცი ტელეფონს აწვდის გუგას. გუგა თავის ტელეფონში**  
**ნომერს კრევს და რევავს.**

**გულო:** ხმამაღალზე შეგიძლია დააყენო?

**გუბა:** კი.

**გულო:** დაიცა ეხლა, მე მალაპარაკეთ.

**ხარი გადის. ყურმილს ჩომბე აახუხობს. სახლიდან  
ბავშვების ურიამულის ხმი იხმის.**

- ჩომბე** (*Ծյლ*): ბატონო...
- გულო:** ალიო, გამარჯობა.
- ჩომბე** (*Ծյლ*): გამარჯობა?!  
**გულო:** ბატონი ლევანი ბრძანდებით?
- გულო:** გახლავართ?!
- გულო:** მე თქვენი მოსწავლის მშობელი გახლავართ.
- ჩომბე** (*Ծյლ*): დიახ, რომელი მოსწავლის?
- გულო:** ავთოსი...
- ჩომბე** (*Ծյლ*): ავთო?
- გულო:** ავთანდილი.
- ჩომბე** (*Ծյლ*): ავთანდილი არ მყავს მოსწავლე, ბატონო.
- გულო:** მაშინ დათოსი...
- ბიჭები ჩაიგხუკუნებენ.
- გულო:** ან ნიკოლოზის.
- ჩომბე** (*Ծյლ*): მგონი, თქვენ საერთოდ არ გყავთ შვილი.
- ამ სიტყვების გაცნებაზე გულოს ხასიათი უფუძლება,  
 ჩუმდება, ლაპარაკს კი დანარჩენები განაგრძობენ. გულო  
 კისკის იხსამს ჭიქაში და ერთი მოყუდებით სვამს.
- ციცი:** ჩომბიკ, ჩვენ ვართ, შეჩემა, რავა ხარ?
- ჩომბე** (*Ծյლ*): ვინ თქვენ?
- ციცი:** შენი საყვარელი კლასელები.
- ჩომბე** (*Ծյლ*): ციციშვილი, შენ ხარ?
- ციცი:** მე ვარ ხო, როგორ ხარ?
- ჩომბე** (*Ծյლ*): არამიშავს. რა ნომრით რეკავ?
- ციცი:** ნატრამის ნომრით, გუგასი. აქ არის.
- გუგა:** ჩომბე, როგორა ხარ?
- ჩომბე** (*Ծյლ*): არამიშავს, თავად?
- გუგა:** მეც არამიშავს.
- ციცი:** ბიჭო, ეხლა მე, გულორდავა, გუგა, კუკუ და ფოჩხუა  
 ვართ ერთად ჩვენ კლასში.
- ჩომბე** (*Ծյლ*): ბიჭებს გაუმარჯოს.
- ბიჭები:** რავა ხარ. ჩომბიკ?
- ციცი:** აზრზე მოდი, ხელი არ უხლიათ, მერხები, სკამები,  
 კედლები ისევ ისეთია, არ გადაუდებავთ.
- ჩომბე** (*Ծյლ*): მერე რა გიხარია?
- გულო:** გვიხარია რა, გუგამ ვისკი მოიტანა, ცოტა საჭმელი

გვაქვს, ვლაპარაკობთ და შენ გვაქლიხარ.

ჩომბე (ტელ): ლაპარაკობთ?

გუბუ: ხო, რა გაიკვირვე?

ჩომბე (ტელ): რაზე ლაპარაკობთ?

ციცი: ნაშებზე, შეჩემა, რაზე უნდა ვლაპარაკობდეთ. ჩვენზე  
რა.

ჩომბე (ტელ): კაიზე რაზე ლაპარაკობთ.

გუგა: ჩომბიკ, გამოდი რა, ცოტა ხანი და ჩვენც გასვლას  
ვაპირებთ.

ჩომბე (ტელ): შენ რომელი ხარ?

გუგა: ნატრამე ვარ.

ჩომბე (ტელ): ვაა, ერთად ხართ ესე იგი.

ციცი: ჩემი არ გჯერა, შეჩემა, თუ რა არის.

ჩომბე (ტელ): მჯერა, მჯერა.

ციცი: ჰე, გამოხვალ თუ არა?

ჩომბე (ტელ): ვერა რა, არ გეწყინოთ ბიჭებო...

ციცი: მაინც ატრაკებს რა.

ჩომბე (ტელ): ბიჭო, ხო გითხარი ერთხელ?

ციცი: ვიფიქრეთ, იქნებ გადაიფიქრა-თქო.

ჩომბე (ტელ): რა გადამაფიქრებინებდა. სახლში ვზივარ,  
ბავშვებს ვეთამაშები.

გულო: ღმერთმა გაგიზარდოს, ძმაო.

ჩომბე (ტელ): შენ რომელი ხარ?

გულო: შვილები ვისაც არ ყავს. გულორდავა ვარ.

ჩომბე (ტელ): ღმერთმა შენ გაგზარდოს, სანამ გეყოლება.

ციცი: არ მოდიხარ ესე იგი.

ჩომბე (ტელ): არა, არ მინდა.

ვოვგა: მეც არ მინდოდა, ჩომბე... ფოჩხუა ვარ.

ჩომბე (ტელ): მერე რას მიდიოდი, შეჩემა?

ვოვგა: მე რას მოვდიოდი. მომიყვანეს.

ჩომბე (ტელ): რას ქვიდ მოგიყვანეს, ფეხები არა გაქვს?

ვოვგა: მაქ, მარა გინდ გქონია, გინდ არა.

ჩომბე (ტელ): ვერ გავიგე.

ვოვგა: ინვალიდი ვარ შეჩემის გადანგრეულო, რა ვერ  
გაიგე?! წავედი ერაყში, ამიფეთქდა რაკეტა, წამართვა  
ფეხები. ჩამოვედი ფეხებწარომეული.

**ჩოშბე** ჩუმადაა.

**ჩომბე** (*ტელ*): დაიფიცე აბა.

**ვოგპა:** დედას გეფიცები... 12 წელია უკვე.

**ჩომბე** (*ტელ*): ვახ, ბიჭო... არ ვიცოდი.

**ვოგპა:** ხოდა, მოდი რა, არ გინდა ჩემი ნახვა?

**ჩომბე** (*ტელ*): მინდა, მარა მანდ არა. მერე გნახავ, სახლში გესტუმრები რა.

**ვოგპა:** კაი, ძმაო, როგორც გინდა, ზურგს უკან შენზე არ ვილაპარაკებთ, რო გნახავ, მაშინ მოგასკორავ.

**ჩომბე** (*ტელ*): ბოდიში რა.

**ვოგპა:** აბა ჰე, საქმეს მიხედვ.

**ჩოშბე** *ტელეფონის თიშვების*

**პუპუ:** რა კაი ტელეფონია, ტო.

**ციცი:** მეც ეგ უნდა მეოქვა.

**გუგა:** არი რა.

**პუპუ:** რა აპარატია, სამსუნგი?

**გუგა:** ხო, სამსუნგი.

**პუპუ:** ნახე, თავისი პასტით და ამბებით. ძვირი ღირს?

**გუგა:** გაიაფდა, 700-800 ლარად იყიდი უკვე.

**გულო:** მაგრა გაიაფებულა.

**გუგა:** 1500 ღირდა, რო გამოვიდა.

**პუპუ:** განვადებით ვერ დავითორევ?

**გუგა:** აბა რას იზამ.

**ვოგპა:** ტელეფონი არა გაქვს?

**პუპუ:** როგორ არა მაქვს, ახალი მინდა.

**გულო:** ძველით ხო სუ საერთაშორისო ზარებს აკეთებ და ახლით კოსმოსში გახვალ.

**პუპუ:** შენ რადა ჩემი კუპუ გინდა?

**გულო:** ორი კვირაა „გოხოვ დამირეკეს“ მეტი არაფერი მომსვლია ამისგან.

**პუპუ:** გუგა, შენთან ვის ეხება განვადებები?

**გუგა:** მე.

**ციცი:** კოზირი დაეცა კუპულაძეს.

**პუპუ:** დაიცა, მაცადე ერთი წამი... გამაკეთებინებ?

**გუგა:** საბუთები დაგჭირდება და გაგაკეთებინებ.

**პუპუ:** პირადობა არ წავა?

**გუგა:** ცნობა სამსახურიდან, ხელფასი სად გერიცხება?

**გულო:** დოიჩე ბანკში.

**ციცი:** ხელფასი და სამსახური რო ქონდეს, შენ რაღაში ჭირდები. ისე გაუკეთე რა.

**გუგა:** როგორ აბა? ისე არ გაიცემა.

**ციცი:** ახლობლებისთვისაც არა? შენ ჩაუდექი თავდებში.

**გუგა:** არ მინდა, ვიხუმრე, 800-ლარიან ტელეფონს შენახვა არ უნდა?

**ციცი:** ბენზინს გთხოვს თუ ნაირ-ნაირ საჩუქრებს, შეჩემა, რა შენახვა უნდა.

**გუგა:** გაფრთხილება უნდა, ყურადღება.

**გულო:** შენ ისეთი ყურბანა ხარ, მიათესავ სადმე.

**გუგა:** მეც მაგას არ ვამბობ?

**გულო:** რას გაუმარჯოს?

**ციცი:** გუგას გაუმარჯოს.

**გუგა:** არა არა, ეგრე არ მოსულა. თქვენ გაგიმარჯოთ.

**გუგა:** მერამდენედ გაგვიმარჯოს, კაცო.

**ციცი:** გუგას გაუმარჯოს რა, მე ეგრე ვიტყოდი, წინააღმდეგობებს რომ არ შეუშინდა და მაიც მოვიდა.

**გუგა:** რომელ წინააღმდეგობებს, ციციშვილი?

**ციცი:** რომელი ერთი გითხრა აბა?

**გუგა:** შენ დაიწყე და თუ რამე – გაგაჩერებ.

**ციცი:** დაკავებული კაცი ხარ, ხვალ დილას სამსახურში ხარ წასასვლელი, მეუღლე გყავს სახლში მარტო დატოვებული, მაგრა კი უნდოდა წამოსვლა.

**გუგა:** საიდან მოიტანე?!

**ციცი:** წამოსვლა რომ უნდოდა?

**გუგა:** ხო.

**ციცი:** ეგრე მომეჩვენა.

**გუგა:** მოგეჩვენა.

**გოგა:** გასეირნება ვის არ ეზარება?

**გულო:** გატასავება მოგინდა?

**გოგა:** ხო, გავიარო მინდა.

**გულო:** ადექში და გაიარე მერე.

**გოგა:** მეზარება, გამიყვანოს ვინმებ.

**გულო:** მეც მეზარება.

- პუბუ:** სად გინდა?
- ვოგგა:** ტუალეტისკენ.
- გულო:** ტუალეტში ფსამ?
- ვოგგა:** არა, ძმაო, მარა სუფრაზე ხო არ მოგიფსამთ.
- გულო:** ვა, აკონტროლებ?
- ვოგგა:** მაშ. ვიცი ჩემი გრაფიკი.
- ციცი:** გუგა, გაყვები?
- გშბა:** გავიდეთ, ხო...
- ციცი:** წვენ დათვალიერებული გვაქ, დერეფნებიც და  
ტუალეტებიც.
- ვოგგა:** გეზარება? (გუგახ)
- გშბა:** არა, წამო.
- გუგა დგება, ვოგკახთან მიღის, მაგრამ ვოგკა ანიშნებს,  
მე თვითონხო. ვოგკა და გუგა გადიან.
- ციცი:** თუ რამეა, დარეკეთ, ან დაიყვირეთ.
- პუბუ:** რამე არ მოხდეს მართლა.
- გულო:** გავალ მეც.
- ციცი:** შენ რადა გინდა?
- გულო:** მეჯვია.
- პუბუ:** ფუ შენი.
- გულო:** მოვფსამ და მოვალ... არ ჩაცალოთ ეხლა, მივალ  
და მოვალ.
- ციცი:** მიდი და მოდი.
- გულოც გადის.**
- ციცი:** ვაა, ხედავ შენ...
- პუბუ:** რა ეშველება ე?
- ციცი:** გულორდავას?
- პუბუ:** ხო.
- ციცი:** რა აქვს საშველი რო?
- პუბუ:** ლოთია, შეჩემა, ოფიციალური. ყოველ დილას  
სამედიცინო სპირტით იწყებს.
- ციცი:** სამსახური უნდა იშოვნოს.
- პუბუ:** საიდან უნდა იშოვნოს, ან სამსახური რას  
უშველის.
- ციცი:** იმ შხამის მაგივრად ვისკის მაინც დალევს ხოლმე.
- პუბუ:** რა ყველაფერზე დადაობ შენ.

**ციცი:** რა შემეცი. პუკულაძე? ჩემი თავისთვის გერ  
მიმიხედავს. მე რა უნდა ვუშველო?!

**გუბუ:** კაი ხო, რა ძარღვებს ბერავ.

**ციცი:** თავისით მებერება.

ცოტა ხანი ხიჩუმება. ციცი ვისეის სვამბ და ხიგარუებს  
უკიდუებს.

**ციცი:** პუკუ-

**გუბუ:** რა გინდა?

**ციცი:** შეეგარებული როგორ გყავს?

**გუბუ:** კარგად. მეოთხე შვილს ელოდება.

**ციცი:** ვაა, მომილოცავს... ბიჭია თუ გოგო?

**გუბუ:** ბიჭი უნდათ.

**ციცი:** წინა სამი?

**გუბუ:** გოგოები არიან.

**ციცი:** ბიჭი რო არ გავარდეს, ქმარი თავს დაიბრიდავს  
ალბათ.

**გუბუ:** პო, ალბათ.

**ციცი:** ილოცე, გოგო იყოს.

**გუბუ:** ხო, ვლოცეულობ.

ძაგიდაზე დაღებული ტელუფონი რუკავს.

**გუბუ:** გუგასია.

**ციცი:** მოვა და უპასუხებს.

ტელუფონი ჩუმდება. რამდენიმე წამშე იხევ რუკავს.

**გუბუ:** „მარიკა“.

**ციცი:** ვინ მარიკა?

**გუბუ:** „მარიკა“ რეკავს, ცოლია?

**ციცი:** ხო. უპასუხე.

**გუბუ:** მე რა ვუპასუხეო?

**ციცი:** უთხარი, გუგა ტუალეტია, ცოტა ხანში დარეკაზ-  
თქო.

**გუბუ:** მოვა და გადაურევავს.

**ციცი:** ებიჭო, იქნებ რა უჭირს.

**გუბუ:** მიდი და უპასუხე... ეეე, მოიტა აბა.

**ციცი:** კაი დამაცადე. ვიცნობ მაინც.

პუკუ ციცის აწვდის ტელეფონს.

**ციცი:** ალო... მარიკა, კახა ვარ, როგორა ხარ?.. კარგად

ქარგად... გუბა გასულია... საჭირო ოთახში ხელის  
დასაბანად, მოვა თუ არა, გადმოგირეკავს... სად ხარ?..  
(ციცი იძხევა) მოიცა... როგორ მოაგენი?.. მესამეზე...  
მარიკა ციცის ტელეფონს უთიშავს. ციცი დაბრულია.

**პუპუ:** რა ხდება?

**ციცი:** მოვიდა.

**პუპუ:** ვინა, შეჩემა, ცოლი?

**ციცი:** აბა ვის ველაპარაკე ეხლა?!?

**პუპუ:** სკოლაშია?

**ციცი:** ხო, რომელზეა თქვენი კლასიო.

**პუპუ:** ვაა... ხო უთხარი, ბიჭები ვიკრიბებითო?

**ციცი:** უუთხარი, კი.

**პუპუ:** მერე?

**ციცი:** რა მერე, მე რა ვიცი რა მერე?

**პუპუ:** ნერვიულობს... ნერვიულობს რა.

ოთახში ფოჩხუა, გუბა და გულორდავა შემოდიან,  
სამივე ჩუმადაა.

**პუპუ:** რა მოხდა?

**ვოგგა:** არაფერი.

**პუპუ:** აბა რა ცხვირპირი ჩამოგტირით?

**ვოგგა:** ვაჟას სურათი ვნახეთ დერეფანში, ძველი.

**პუპუ:** ვინ ვაჟასი.

**გული:** ფშაველასი, რამ გამოგასირა?

**პუპუ:** მერე პირველად ნახეთ?

**ვოგგა:** რაც მოელმა კლასმა ვაფურთხეთ, იმის მერე  
პირველად გაგვახსენდა რა...

**პუპუ:** მერე რო გაგახსენდათ?

**ვოგგა:** არაფერი, კუპუ, შეგვრცხევა!

**ციცი:** მარიკაშ დარეკა.

**გუგა:** მარიკაშ? რაო მერე?

**ციცი:** ხო, რეკავდა გაბმულად.

**გუგა:** რაო?

**ციცი:** სკოლაშია მოსული.

**გუგა:** რაა?

**ციცი:** სართული იკითხა, რომელზე ხართო... ამოდის.

**გუგა:** როდის დარეკა?

**ციცი:** ამ წამს.

**გუგა:** შენ ელაპარაკე?

**ციცი:** ხო.

**გუგა:** არ უნდა გეპასუხა.

**ციცი:** ტელეფონი ჯიბეში უნდა გედოს.

**გუგა:** ჭავას მარიგებ?

**ციცი:** მომისმინე. შემოიყვანე, რახან ამხელა გზა გამოიარა, ცოტა ხანი იყოს ჩვენთან. ხმაზე შევატყვე, ნერვიულობს.

**გუგა:** სანერვიულო რა აქვს?!

**ციცი:** ეგ თქვენში გაარკვიეთ. სხვა რამეს გეუბნები. ცოტა ხანი იყოს, მარა მერე გაუშვი რა, გამიგე?

**მარიკა:** გუგა!

**გუგა:** აქ ვარ მარიკა. თოახში მარიკა შემოდის. შეშინებული თვალებით უკურებს ბიჭებს.

**მარიკა:** გამარჯობა.

**გუგა:** მოდი, მარიკა.... გაიცანი ჩემი კლასელები. ბიჭები ვეხებ ხე ღვეგბიან და თავა ზიანად ეხალმებიან მარიკას, უკელა თავის ხახელს ეუბნება.

**ციცი:** როგორა ხარ, მარიკა?

**მარიკა:** რა ვიცი, არამიშაგს.

**ვოგა:** ვოგა, სასიამოვნოა.

**მარიკა:** ჩემთვისაც.

**გულო:** აგერ დაბრძანდით.

**მარიკა:** მაღლობა...

მარიკა ჯდება, ცოტა ხანი უხერხული პაუზაა.

**ვოგა:** შესთავაზეთ სასმელი ქალბატონს.

**მარიკა:** არა, დიდი მაღლობა.

**გულო:** არ სვამ?

**მარიკა:** არა, არ ვსვამ.

**გუგა:** რატომ?

**ვოგა:** კუკუ, რა იცი ხოლმე ეს ზედმეტი კითხვები, გითხრა გოგომ, არ ვსვამო.

**მარიკა:** არა, არა, არაფერია. ექიმმა ამიკრძალა.

**გუგა:** ეხლა როგორ არ ვკითხო, რატომ აუგრძალა ექიმმა?

- მარიკა:** ორსულობის დროს მაინც... არაა მიღებული.
- გუგა მარიკას მაშინვე გახედავს, ბიჭები იბნევიან.
- გულო:** (გუგას) ამას გვიმალავდი, ტო?!!
- გუბჭა:** ვაა... რა მაგარი ამბავია. გილოცავ, გუბა.
- ციცი:** გილოცავ, მმაო.
- გუბჭა:** აბა შვილს არ ველოდებით?
- ციცი:** კაცმა სოლიდარობის ნიშნად არ თქვა ეხლა, ანგარიში გაგვიწია რა.
- გულო:** ხო, აბა როგორ. აღსანიშნი ამბავი კი არის და....
- ციცი:** ჰო, აბა რა. ჩამოყარე რა.
- გულო სახმელს ახხამს.
- გულო:** აბა, თქვენს პატარას გაუმარჯოს... რაც ჩვენ ენახეთ, არ ენახოს, რაც ჩვენ ვერ ვნახეთ, კიდე ენახოს.
- გუბჭა:** პოეტი გარეუბნიდან... გაუმარჯოს, ჯანმრთელი... ბიჭია თუ გოგო?
- მარიკა:** ჯერ სქესი არ ჩანს.
- გუბჭა:** ჯანმრთელობა და იღბალი არ მოაკლდეს.
- გულო:** ჰო, იღბალი უმთავრესია. ხო იცით ჩერჩილმა რა თქვა? „ტიტანიკზე“ ყველა ჯანმრთელი იყო, იღბლიანი კიდე არცერთიო.
- გუბჭა:** ის ქალი ხო გადარჩა?
- გულო:** ვინ ქალი?
- გუბჭა:** დიკაბრიოს ნაშა.
- გულო:** ეგ ფილმი არ ქონდა ჩერჩილს ნანახი.
- ციცი:** აბა გაგიმარჯოთ, მომავალო დედა და მომავალო მამა.
- გუბჭა:** გაიხარე, ციცი, გაიხარე.
- ვოვება:** გაუმარჯოს, მაგრა გამიხარდა რა, ეგეთი მაგარი ამბები გამეგოს სულ.
- გუგა:** მაღლობა, ვოვჩიპ.
- მარიკა:** დიდი მაღლობა.
- კველა თავის წილ სახმელს ხვამს. ცოტა ხანი ჩემად არიან, მარიკა დაბნეულია, გუგა უხერხულად იშმუშება.
- გუგა:** ტაქსით მოხვედი?
- მარიკა:** ჰო...

**პუბლი:** გულო, ერთიც ჩამოასხი.

**გულო:** რაზეა ბაასი, სიმონ.

გულო ჭიქებს ავსებს. გუგა ჭიქას ხელს აფარებს.

**გუგა:** მე ადარ დამისხა.

**გულო:** რატო?

**გუგა:** მეყოფა, ხვალ დილას ვარ ასადგომი.

**ციცი:** ხვალის ხვალ არის, მთდი, არ ჩამოგვრჩე რა.

**გუგა:** არა, მეყოფა მართლა, გამისკდება თავი.

**გულო:** როგორც გინდა მმაო, ჩვენ უფრო მეტი დაგვრჩება...

კუკუ, რამის თქმა გინდა?

**პუბლი:** დალევა მინდა.

**გულო:** უთქმელად?

**ციცი:** თქვი, შენ რამის თქმას თუ აპირებ.

**გულო:** ვიტყვი, აბა რას ვიზამ... სიყვარულს გაუმარჯოს, ამ ორი ადამიანის თამადობით, გაუმარჯოს სიყვარულს და ამ სიყვარულის ნაყოფს...

**პუბლი:** სულ ეს იყო?

**გულო:** ნიხვატქაში დაგტოვე!

**მარიგა:** დიდი მაღლობა.

**გუგა:** მაღლობა, უჩა.

დანარჩენები გულოს ხადღუვრძელოს იმურებებ და პლასტმასის ჭიქებს ერთმანეთს „უჭახუებებებ“. მხოლოდ კუკუ ზის ჩუმად.

**პუბლი:** გაგიმარჯოთ, და კიდევ იცი რას გაუმარჯოს?

**ვოვება:** აბა რას, ჩემო მმაო?

**პუბლი:** არა, სიყვარულს გაუმარჯოს, მაგრამ იცი როგორს?

**გულო:** ორმხრივს, სიმონ, რა დაკონკრეტება მაგას უნდა?

**პუბლი:** მაგასაც ჰო აბა რა, მე მინდა რო გაფუჭებულ სიყვარულს გაუმარჯოს.

**ციცი:** როგორ გაფუჭებულს?

ძირები იძაბებიან გუგა დაძაბული ახვდავს კუკუს, რომელიც ლაპარაკის პარალელურად მიხეკუ იხვდება ხოლმე და თითქოს მიხოვის ხათქელს კველას გუბნება.

**პუბლი:** როგორ და ჭრელად. გაფუჭებულს რა. რო გიყვარს, რო უყვარხარ და რო გაგიფუჭებენ რა, აი მაგ სიყვარულს

მინდა რო გაუმარჯოს. აი რო ადგებიან და ვრედნად გაგიფუჭებენ რა, თან ჯინაზე რო გაგიფუჭებენ, ისე კი არა, იმას კი არ ვგულისხმობ...

**ვოვგა:** დაამთავრე?

**პუპშ:** მაცადე და დავამთავრებ.

**ვოვგა:** დაამთავრე რა!

**პუპუ** ჩუძდება. ცოტა ხანი პაუზაა.

**პუპშ:** თქვენ გაგიმარჯოთ, მარიკა, გუგა.

**მარიკა:** დიდი მაღლობა.

გუგა მაღლობის ნიშად თავს უქნებს კუკუს, რომელიც მას თვალს არ აცილებს და ისე ცლის ჭიქას.

**გულო:** ამ სასმელის პლასმასით გაფუჭება იქნებოდა? მცოდნოდა, წამოვიდებდი ხრუსტალის ჭიქებს, ყინულებსაც მოვიმარაგებდი.

**ციცი:** ნაბიჯ-ნაბიჯ, გულო, ერთბაშად ნუ მოინდომე, შემდეგზე ჭიქებს შეცვლი, მერე ყინულებსაც ჩაიყრი, აღარ გახსოვ, გუშინ რას სვამდი?

**გულო:** ჯოკერს, შეჩემა, როგორ არ მახსოვეს. თან გეგაიფება, თან გბრიდავს.

**ციცი:** ორლარიანი რა იქნება აბა?

**გულო:** სამი გახადეს მაგ უნამუსოებმა.

**ვოვგა:** (მარიკა) სიარული მეზარება, განა მართლა ვერ დავდივარ.

**მარიკა:** (მიშტერებული იყო გელი) უკაცრავად, დიდი ბოდიში...

**ვოვგა:** ვეუმრობ, ვერ დავდივარ. მარა არც მჭირდება, მატარებენ, ეგრე უფრო ადვილია.

**გულო:** იცი, რას ცეკვავდა ეს არიფი?

**მარიკა:** მართლა?

**ვოვგა:** რა ვიცი აბა.

**მარიკა:** ბავშვობაში?

**ვოვგა:** მთლად ბავშვობაში არა, 15 წლის ვიყავი, რო დავანებე.

**მარიკა:** რატომ დაანებე?

გუგა ადგილს კედარ პოულობს. ციცი მას უყურებს. ვოვგა მშვიდად ასეუხობს პაუზის შემდეგ მარიკას.

**გოგა:** ჩემი პედაგოგი ამერიკაში წავიდა, იქ ვიდაც მოცეკვავეზე გათხოვდა, მე კიდე სხვა ვერავისთან დაგუდე გული და ეგრე შემომენება თავისით.

**მარიგა:** მეც ვცეკვავდი.

**გოგა:** სამეჯლისოს?

**მარიგა:** ქართულს.

**გოგა:** მერე?

**მარიგა:** მერე არაფერი, სიმაღლე არ გიწყობს ხელსო და გამომიშვებს.

**გოგა:** შენ გული არ გაიტეხო.

**მარიგა:** მაშინ მეწყინა, ეხლაც რო მახსენდება ხოლმე, მწყინს, მაგრამ ისე ადარ.

**გულო:** ვოვპა, იცეკვე რა.

**გოგა:** ცოტა ხანში.

**გულო:** სერიოზულად გეუბნები.

**გოგა:** მეც სერიოზულად გპასუხობ.

**ციცი:** გულორდავა, მოვიდნენ?

**გულო:** იცეკვოს რა, შენ ძმობას ფიცავარ, იმ დდეს სახლში დაუარა.

**კუპუ:** როგორ უნდა იცეკვოს, შეჩემა, გააფრინე?

**გულო:** როგორ და ჭრელად... ვოვპა, ტელეფონი მაიტა.

**გოგა:** რად გინდა?

**გულო:** მესიჯები უნდა წავიკითხო. მაიტა რა...

**გოგა:** ტელეფონს იღებს ჯიბიდან.

**გოგა:** ნუ ატყდი ეხლა რა.

**გულო:** ის სამეჯლისოები კიდე გიწერია?

**გოგა:** არა.

**გულო:** ტელეფონს ართმევს კოვკას, კიბებს ბუხიკას და რთავს.

**გულო:** ავოიქ. ვოვპა, დაუარე!

**ციცი:** კაი, მართლა გამოშტერდი, ბიჭო, შენ?

**გულო:** არ ჯერაო, შენ ძმობას ფიცავარ, ეხლა ნახეთ, სიმონ, მე ვიქნები ვოვკას ფეხები.

**გულო დგება, კტლებს ხელებს კიდებს და კოვკა თავისუფალ აღიღოას გაჟუას, ტელეფონიდან ხამუჯლისო საცდებაო ბუხიკა იხისი.**

- გოგბა:** გეყოფა, გულორდავა.
- გშეშ:** კაცმა ამდენი იშრომა, სცენა მოგიწყო, მუსიკა ჩაგირთო.
- ციცი:** მიდი, ვოვკა.
- გოგბა:** ოქვენ რას მიკეთებთ, უნდა მიუუროთ?!?
- ციცი:** აგერ მარიკა იქნება შენი მეწყვილე.
- მარიკა:** არა არა.
- გშეშ:** როგორ არა??!
- ციცი:** მიდი, მარიკა, თორე არ გაგიშვებენ ესენი სახლში.
- გშგბა:** კაი მოიცადეთ რა.
- მარიკა:** არა არ ვიცი.
- გოგბა:** არაფერი ცოდნა არ უნდა, აგისხნი უცებ.
- მარიკა:** ვერა, უნიჭო ვარ.
- გოგბა:** უნიჭო ხარო, არ უთქვამთ, სხვა რამე გითხრეს.
- მარიკას** ეღიმძება, მაგრამ დაბნეულია და გუბას შეხედავ.
- გშეშ:** მიდი, მარიკა, თორე ადგება და წავა.
- მარიკა:** კარგით.
- გშეშ:** ვაშა!
- მარიკა ვოგეასკენ მიდის. ვოგეა უცებ დაფაცურდება.
- გოგბა:** გულორდავა, უკან რიჩაგს ხედავ?
- გულო:** რომელს.
- გოგბა:** შავს, ერთია სულ.
- გულო:** ხო.
- გოგბა:** ეგ დააკაჩავე.
- გულო ატრიალებს ხახელურს. ვოგეას ხეამი მაღლა იწევა.
- გშეშ:** ამას შეხედეთ, რა ნავაროტკები აქვს.
- გოგბა:** დახრილი ხოარ იცეავებს გოგო?!?
- ციცი:** საღოლ, ჩაგეთვალა.
- ვოგეას ხეამი იწევა და ის მარიკას თითქმის უტოლდება.
- მარიკა:** რა უნდა გავაკეთო?
- გოგბა:** ერთი ხელი აქ დამადე, მეორე აქ. და უბრალოდ გამომყევი. გულორდავა.
- გულო:** ხო, ბოსს.
- გოგბა:** რო გეტყვი მარჯვნივ – მარჯვნივ წამიყვანე.

**გულო:** მარცხნივ რო მეტყვი, მარცხნივ ხო?

**ვოვგა:** ხო.

**ციცი:** გულო, არ შეარცხვინო კაცი.

**გულო:** გეგადრებ, სიმონ?

კოგება და მარიჯა ხასაცილოდ იწყებენ ცეკვას, მარიჯას დაბნეულობისგან ვეხი ერევა. კოგებაც ვერაა მოწოდების სიმაღლეზე, თუმცა მთვლით გულით ცდილობს და ნერვიულობა უჩვება.

**ვოვგა:** მარჯვნივ, გულო.

**გულო:** არის მარჯვნივ!

**ვოვგა:** ნუ ხარ დაძაბული.

**მარიჯა:** კაი, მარა არ გამომდის.

**ვოვგა:** გამოგივა... მარჯვნივ, გულო.

გულო მარცხნივ გაწევს ვოვგას.

**ვოვგა:** ეგაა მარჯვნივ, ბიჭო?!

გულო შეცდომას ახწორებს და მარჯვნივ ხწევს ჩელი.

**გულო:** პარდონ, ბოზიშვილივიყო! უი, უკაცრავად.

**მარიჯა:** არა უშავს.

**გულო:** მეთქი მარჯვნივ-მარცხნივ და ეგრე მიეწყობა.

**ვოვგა:** არა, მე მისმინე. ეხლა მარცხნივ.

**გულო:** ა ძმა.

**კშაშ:** საღოლ, ვოვჩიკ, მიდი შეუბერე!

ბიჭები იცინიან, ერთადერთი გუგას აქება უბედურებული სახე.

**ვოვგა:** უკვე გამოგდის, ხედავ?

**მარიჯა:** ვითომ?

**ვოვგა:** მარცხნივ, გულო.

**გულო:** ბაზარი არაა, უფროსო.

ცოტა ხანი კიდე ცეკვავენ, ვოვგა ნელ-ნელა შეცდომებს უშევბს.

**ვოვგა:** კაი, გვეყოფა.

**გულო:** მიდი, ცოტა კიდე.

**ვოვგა:** გეყოფა, გამაჩერე... გულორდავა.

**კშაშ:** მიდი, ვოვგა, მიდი, არ გაჩერდე!

**ციცი:** მალადეც ბიჭი!

**ვოვგა:** გამაჩერე-მეთქი.

**გულო:** კაი რა, ნუ ატრაპებ.

**ვოვგა:** გააჩერე ეს დედამოტყნული!!!

უცებ გულორდავა ჩერდება, კველა ჩუმდება. ვოვგა  
ანერვიულებულია, მაგრამ მალევე მშვიდოვება.

**ვოვგა:** ბოდიში.

ძუხიკა ითიშება.

**ციცი:** ეე, რა მოხდა?

**ვოვგა:** მორჩა კონცერტი.

**კუბჭა:** რა მოხდა?

**ვოვგა:** ტელეფონი დაჯდა.

**კუბჭა:** აბა შენა ხარ რა, სახლიდან რო გამოდიხარ,  
ტელეფონი არ უნდა დატენო?

ვოვგა ჯიბიდან დამტენს იღებს და გულოს აწვდის.

**ვოვგა:** შეაერთე რა.

გულო ართმევს დამტენს და ტელეფონს.

**გულო:** ეგეთი იაღლიში, ვოვგა? საცეკვაოდ რო მიდიხარ,  
ტელეფონი დატენილი არ უნდა გქონდეს?

**ვოვგა:** მიდი ეხლა ეკაიფეთ იმას, ბიჭო.

**ციცი:** ბრავო. მაგარი იყო.

ციცი ტაშს უკრავს, დანარჩენებიც აყვებიან. ვოვგა  
მარიკას მაღლიერი თვალებით უურებს.

**ვოვგა:** მაღლობა.

**მარიკა:** არაფრის, რა მაღლობა, პირიქით, ბოდიში, ვერ  
აგიწყვე მოძრაობები.

**ვოვგა:** ძაან კარგადაც ამიწყვე. გულო!

**გულო:** მარჯვნივ, ძმა?!

**ვოვგა:** დამწიე.

**გულო:** ბაზარი არაა.

**ვოვგა:** ნელა, თორე დამახეთქებ.

**გულო:** ნელა გშვები სიმონ, აკურატულად, რბილად  
დაეშვები, მენდე რა, ვოვგჩიპ.

**ვოვგა:** გენდობი.

გულო სკამს ხაწყის მდგომარეობაში აბრუნებს.

**გულო:** აჲა, ეგაა.

**ვოვგა:** მაღადეც.

**პუბჭ:** ვაა, მაგრა გაასწორე რა ვოვპა.

**ციცი:** სახლში უბერავ ხოლმე?

**ვოვპა:** არა, ბიჭო, გაგიჟდი?

**ციცი:** ვის ატყუებ, აბა ეგ მუსიკები რად გინდა ჩაწერილი რო გაქ?

**ვოვპა:** ვუსმენ ხოლმე რა ხანდახან. კაიფის ხასიათზე რო ვარ.

**პუბჭ:** კაიფობ?

**ვოვპა:** სუვთა მორფით.

**გულო:** მაკაიფე რა?!

**ვოვპა:** ჩემთავზე რო ვკაიფობ, რო მახსენდება.

**გუბა:** (მარიკას) რა იყო?

**მარიკა:** არაფერი.

**გუბა:** არ გეძინება?

**მარიკა:** არა, შენ?

**გუბა:** წამოდი, გაგაცილებ.

**მარიკა:** შენ არ მოდიხარ?

**გუბა:** ვიქნები ცოტა ხანი და მოვალ. არ აპირებენ ბიჭები ჯერ დაშლას, არა, ციცი?

**ციცი:** პო, რა ვიცი, სასმელი კიდევ არის, შენ წადი თუ გინდა.

**გუბა:** არა, არ მინდა, გავაცილებ და ამოვალ.

**მარიკა:** დავრჩები მეც და ერთად წავიდეთ.

**გუბა:** სახლში მიღი და მეც მალე მოვალ.

**მარიკა:** რატომ?

**გუბა:** რა რატომ?

**მარიკა:** არ შეიძლება აქ რომ ვიყო?

**გუბა:** არ შეიძლება. (ხუმრობით) კაი ვეღარ შეუგინიათ შენი შიშით.

**ციცი:** უზრდელები ვართ, ძმაო, მაგის თქმა გინდა?

**გუბა:** პირიქით.

**გულო:** სანამ მოხვიდოდი, მარიკა, მაშინაც არ ვიგინებოდით.

**გუბა:** წავედით?

**მარიკა:** რა წესია...

**გუბა:** გავაცილებ და ამოვალ, ბიჭებო.

- მარიკა:** დარჩენა მინდა....
- გუგა:** გვაცადე რა ცოტა ხანს.
- მარიკა:** დარჩენა მინდა.
- გუგა:** წამო მაშინ ექსკურსიაზე.
- პუპუ:** გული არ გაუხეთქო, სად მიგყავს ბიჭო.
- გულო:** მართლა ამ სკოლის დათვალიერება იქნება?
- ციცი:** (გულოს) შეეშვი.
- გუგა და მარიკა გადიან.
- ვოგა:** რა კი გოგოა.
- პუპუ:** კი, მაგარი საყვარელი.
- ვოგა:** კუპულაძე, შენ შიგ ხომ არა გაქ?
- პუპუ:** რა გინდა?
- გულო:** რა მოტყნული სიყვარულების სადღეგრძელოები  
აგიტყდა?
- პუპუ:** აეგრე ამიტყდა, შენ ვინ გკითხავს?
- გულო:** შეჩემა, ცოლთან ერთად მაგის დრო იყო?
- პუპუ:** მიხვდებოდა მარიკა?
- ციცი:** არა, დაიკიდე.
- გულო:** რო მიმხვდარიყო, გაგიტყდება?
- პუპუ:** რაა? კი, მაგრად.
- ვოგა:** რა ბავშვივით გამოხტომა იყო, რა იყო.
- პუპუ:** კაი, ვხიო, ხო გაფჩუმდი, რო მოხოვე?
- გულო:** ბიჭო, რა მაგარია.
- ციცი:** რა?
- გულო:** სასმელი. იმენა სულს ეფინება.
- პუპუ:** გუგას რა ჭირს?
- გულო:** რა ჭირს?
- ციცი:** არაფერი არ ჭირს.
- პუპუ:** რა არაფერი. თავიდან გონიოზე იყო.
- ვოგა:** მე ვერაფერი გონიოზე ვერ შევატყვე.
- პუპუ:** შენ სანამ მოხვიდოდი...
- ციცი:** რაღა გონიოზე იქნებოდა, რო გაიგო, რაც გჭირს,  
სახე უნდა გენახა.
- ვოგა:** ჭორაობთ, ბიჭებო?
- გულო:** ვბაზრობთ... მოდი დავლიოთ რა.
- ციცი:** გუგას დაველოდოთ.
- პუპუ:** რო მოვა, კიდე დავლიოთ.

**გულო** ასხამს სახმელე.

**გუბუ:** ხსოვნა იყოს რა. რამდენი ვილაპარაკეთ და არ გვითქვამს.

**გულო:** ხსოვნა იყოს...

დერეფნიძან გუბას და მარიკას ჩხუბის ხმების ისმის, ცალკეული სიტყვები და წინადაღებები: „მოდი-მეთქი აქ რო გეუბნები...“ „რა უნდათ შენგან?“ „სად შეხვალ შენ, გოგო, ხულეული ხო არ ხარ!“ „მარიკა!“ „სახლში წადობეთქი რო გეუბნები!“ „გამატარე, გამატარე-მეთქი“ „ან წამოხვალ სახლში, ან რო მოხვალ, აღარ დაგხვდები.“

ბიჭები იზაფრებიან... გუბას და მარიკას ხმები ხიშორები იკარგება, გარკვეული დროის შემდეგ გუბა თოახში ბრუნდება...

**გულო:** მშვიდობაა?

**გუბა:** რა?! ხო, მშვიდობაა, აბა რა უნდა იყოს... თქვი აბა?

**ციცი:** გააცილე ცოლი?

**გუბა:** ხო.

**გუბუ:** როდის მოასწარი?

**გუბა:** ტაქსი იდგა აქვე. რა დალიეთ?

**გულო:** ჩვენების ხსოვნა ვთქვით.

**გუბა:** ხსოვნა იყოს... გისმენ-მეთქი!

**ციცი:** ვოგპა, მოგვიყევი რა.

**ვოგპა:** რა მოვყვე?

**ციცი:** რავი ეგ ამბები, სასაცილოდ რო მოყევი იმდღეს, უგრე.

**ვოგპა:** კაი, დაიცა რა.

**ციცი:** მიდი გუბამ არ იცის არაფერი. უთხარი. რა მოყვეს.

**გუბა:** რა? მოყევი, მიდი.

**ვოგპა:** რავი რა არის მოსაყოლი. ერაყში წავედი რა.

ვიდაცეები გამოგნახე ახლობლები, ის-ეს და მივედი რა.

**გუბუ:** შენც მაგარი ხარ, ერაყში რა ჩემი ყლე გინდოდა?

**ვოგპა:** აბა რა გამეკეთებინა, ცეკვით ვედარ ვიცეკვებდი,

რაც მაგ ცეკვის გამო მე ამბები გამოვიარე. თან კაი რა ცეკვა, ნუ რა უნდა გამექაჩა ცეკვით, მაქსიმუმ რესტორნებში მეცეკვა დამეში 50 ლარად, ისიც შაბათ-კვირა. მერე კიდე ამ მოვრალებს აგინებინე თავი და

პიდარასტი აძახებინე. ერაყი რა, რა მნიშვნელობა ქონდა, რამე ხომ უნდა მეკეთებინა? ხელფასიც დიდი იყო. 800 დოლარი თვეში, ეხუმრები მაგხელა ფულს? ჩავედი თუ არა, იარაღი დამაჭერინეს ხელში, უპვე აღებულ ტერიტორიებს ვამაგრებდით. წესით, რეზერვისტებს რაც უნდა ეკეთებინათ აგვისტოს ომში. ორი კვირა სიმშვიდე იყო, ვერც ვგრძნობდით, ომში რომ ვიყავით, გეგონებოდა, სადღაც უდაბნოში ავტომატიანი ბიჭები უბრალოდ ვისვენებდით. ორი კვირის მერე შორიდან სროლის ხმები მოგვესმა, განგაში ატყდა. მერე რაღაც გვესროლეს, რა იყო, არ მახსოვს, რო გამოვფხიზლდი, ფეხებს ვედარ ვგრძნობდი.

**გუგა:** ციციშვილი, გისმენ-მეთქი.

**ციცი:** რას მისმენ?

**გუგა:** გაუშვი ცოლიო, შენ არ მითხარი?

**ციცი:** ვერ გავიგე, რას მისმენ?

**გუგა:** ვერ გაიგე კი არა, ბიჭო, საქმეზე ილაპარაკე.

**გულო:** დამშვიდდი ტო, რა ხდება?

**გუგა:** შენ რაღა გინდა? რა გინდათ, ბიჭო, საერთოდ? ეს დედამოგყნული ან თქვით ან თუ არ ამბობთ, გაჩუმდით, გამიგე, საერთოდ...

**გულო:** როგორ მელაპარაკები?

**გუგა:** რა როგორ გელაპარაკები?

**გუგა:** დაწყნარდით, ბიჭო, გუგა, დამშვიდდი რა, მმაო.

**გოგა:** კაი, საკმარისია.

**გუგა:** შენი დასამშვიდებელი რა მჭირს, ბიჭო?!

**გოგა:** გუგა, დედა როგორ არის?

აფეშე შე ჩავარდნილი გუგა ხელს უქნევს კოვას და ეტლიანად ძირს აგდებს. ამის დანახვაზე გულორდავა სკამიდან სწრაფად დგება და გაშტერებული უყურებს კოვას, კუკუ და ციციშვილიც დგებიან, ციცი დანას ხსნის და გუგასენენ იწევს.

**გოგა:** არ დაარტყა, ბიჭო! ხელი არ დაარტყათ!

ციციშვილი და კუკუ ჩერდებიან, გუგა აზრზე მოდის და ძირს დაგდებულ კოვას უყურებს.

**ციცი:** ააყენე, შე ყლეო!

გულო ფხიზლდება და კოვას წამოყენებას იწყებს.

მას აუგუ და ციციც მივარდებიან. ვოვკას ეტლში  
ხვამებ. გუგა ხამხე ჯდება, ყველა დაძაბულობისგან  
გახდის მირებულიად სუხთქავს. გუგა უცებ ძერხზე მუშტეს  
არტყამს. ყველა გუგას უყურებს. გუგა ნელ-ნელა  
წერდიდან გამოდის, მუშტებს უფრო გამეტებით ურტყამს  
ძერხს და თვალები უცრებდნიანდება, ღმულის მაგვარ  
ხებს უშვებს და სიმწრის ცრებდნები თქრიალით  
მოხდის. ბიჭები გაოცნებულები უყურებებ მას. გუგა  
ნელ-ნელა მშვიდებელი.

**ციცი:** მიდი, წყალი შეისხი...

გუგა ცოტა ხანი უძრავად ზის, შემდეგ ციცის  
გძორხილება, მმიმედ დგება სკამიდან და საკლახო  
თოახიდან გადის. რაძღვნიმე წამის განმავლობაში  
თოახში სრული სიჩუმეა. ყველა თავისთვის არის  
ჩაფიქრებული.

**ვოვკა:** კმაყოფილი ხარ?

ვოვკას არავინ პასუხობს.

**ვოვკა:** აი ეგ შეგრძნება მაინტერესებს რა, რო იცი, რო  
დღეს პირველად დაგენინება მშვიდად. როგორია ეგ  
შეგრძნება, მაგრად მაინტერესებს.

**პატა:** რა დაემართა.

**ვოვკა:** მარტო მაგან მირტყა იმ დღეს? ამოიღეთ ხმა, ტო,  
მარტო მაგან მცემა მეცხრე კლასში? ილაპარაკეთ რა,  
მეტი რალა გავაკეთო, მოვედი, გამოგყევი, თქვენ თუ  
ერთი გუგა არ გახსოვთ კარგად, მე რომელი უნდა  
მახსოვდეთ... ჩომბე. ისიც იმ დღეს სკოლაში არ იყო  
და მაგიტომ... რომელმა არ მირტყით-მეთქი, ბიჭო, ხმა  
ამოიღეთ!

**გულო:** ყველამ. იმენა ცხვრებივით ყველამ გირტყით, არ  
გვინდოდა, მარა გირტყით.

**პატა:** გუგას თითის დატკაცუნებაზე ყველამ გირტყით...

**ციცი:** აღარ გინდა რა მაგაზე.

**ვოვკა:** აღარ მინდა... მიდი, ეხლა წადით...

ბიჭები ვოვკას ამოხედავენ. ყველა ჩუმადაა.

**ვოვკა:** ჰე, წადით ეხლა... მარტო მინდა რომ დავხვდე.

**პატა:** რად გინდა?

**ვოვკა:** წადით!

**გულო:** გამოვიდეს და ერთად გავიდეთ რა, ვოვპა, რად გინდა.

გამოვიდეს დაველაპარაკოთ ესე ხო არ დავტოვებოთ.

**ვოვპა:** ხო ჯერ არ დაგიტოვებიათ... ნუდა გამამეორებინებთ  
რა. ძმურად. წადით.

**კუპა:** რამე არ მოხდეს...

**ვოვპა:** რაღა უნდა მოხდეს.

**ციცი:** წავედით.

ციცი დეგბა, დანარჩენები გაკვირვებულები უყურებებ  
მას, ციცი ანიშნებს, აღვქმოთ, გულო და კუკუ დაებიან  
და გასვლას აპირებენ.

**ვოვპა:** ამ ნაგავს ვის უტოვებთ?

ციცი, გულო და კუკუ პარკებში ბოთლებს და ხევა  
პროდუქტებს აგროვებენ.

**ვოვპა:** ორი ჭიქა დატოვეთ, დანარჩენი აალაგეთ.

**ციცი:** სახლში როგორ წახვალ?

**ვოვპა:** რამეს მოვიფიქრებ.

**ციცი:** აბა შენ იცი.

**ვოვპა:** ხო, მე ვიცი.

ძიჯები გადიან. ერგეა მარტო რჩება თოახში. პაჟზა.  
დაახლოებით ერთ წუთში თოახში გუგა შემოდის  
და კარშივე ქვავდება. სახე მობანილი აქვს, თვალები  
დასივებული.

**ვოვპა:** შემო, რას დგახარ კარში.

გუგა დაბწეველი შემოდის თოახში.

**ვოვპა:** დაჯექი.

ვოვპა მასთან ახლოს, სკამზე ანიშნებს გუგას. გუგა  
ნელა მიდის სკამისკენ და ჯდება.

**გუგა:** სად არიან?

**ვოვპა:** წავიდნენ, მე ვთხოვე. მარტო მინდოდა დალაპარაკება...  
როგორა ხარ?

**გუგა:** არამიშავს.

**ვოვპა:** გამაწყვეტინე... პოდა, რას ვყვებოდი, უეხებს და  
ნახევარ სახეს ვედარ ვგრძნობდი-მეთქი... გამომაქანეს  
იქიდან სამხედრო თვითმფრინავით, აქ ოპერაცია  
გამიკეთეს, თვითმფრინავით მაიმედებდნენ, მეურნალობის  
შემდეგ გაივლიო, თვალს აღარაფერი ეშველებაო,  
მაგრამ სიარული შეიძლება შეძლოო. 5 წელი ეგრე

გავატარე, იმაზე ფიქრში, რო როდესმე ავდგებოდი და გავივლიდი რა. ხანდახან ცეკვაც მენატრებოდა, მაგრამ უფრო სიარული, ჩვეულებრივი სიარული რა, პურზე რო გახვალ მეზობელ კორპუსში, ხო იცი, და ისევ სახლში ამობრუნდები, ეგეთი სიარული. მერე ნელ-ნელა მაგაზე ფიქრსაც დავანებე თავი, მივხვდი, რომ ვერ გავივლიდი, დავჯექი სახლში, სხვა რა გზა მქონდა, დავჯდებოდი, აბა რას ვიზამდი. დავჯექი და ბიჭო... თამაში დავიწყე, კომპიუტერის რა, ისე ასწორებს, შენ ძმობას ვფიცავარ ეგრე ცხოვრებაში არაფერი გამსწორებია, თავისით რა, თავს ძალა დავატანე კი არა, რა უნდა მეკეთებინა, ერთხელ დაგუჯექი და ისე წაიდო, განა თავს ძალა დავატანე, აბა წარმოიდგინე, 23 წლის ბიჭმა, მოელი დღე სკამზე ჯდომით ტრაგი რო გაქ დაბრტყელებული, სხვა რა უნდა აკეთო. იმ დაბრტყელებულ ტრაგზეც არ გეფიქრება, ვერ გრძნობ და იმიტომ. გამიგე? და იცი, რას მივხვდი? ყველაზე მაგრად მისწორდება ეგ პროცესი, ცხოვრებაში ეგრე არაფერი გამსწორებია, ისეთი თან, დინჯი, არსად რომ არ გეჩქარება... მისმენ?

**გუგა:** პო...

**ვოვგა:** დღევანდელი შეხვედრა ციცის მოქოქილია...

**გუგა:** ვიცი.

**ვოვგა:** თვითონ გეტყვის, ან არ გეტყვის, არ ვიცი... ბავშვობაში რადაც დათმო შენთან, გახსოვს რა?

**გუგა:** არ მახსოვეს.

**ვოვგა:** ეხლა კარგად იქნება, რო გნახა, კარგად იქნება. დაიკიდებს ალბათ... ლიმონათი არ გინდა?

**გუგა:** არა.

**ვოვგა:** შენი მჯერა რა... მართლა მჯერა, მაგრამ ყველაფერი ისე რომ არ მომხდარიყო, როგორც მოხდა, იმ კაიფს ვერ დავიჭერდი, რითაც ეხლა ვკაიფობ. გესმის?

**გუგა:** არ მესმის, ვოვკა, ვერ ვგებულობ. თუ რამე მესმოდეს, მამისსულს ვფიცავარ.

**პაუზა**

**ვოვგა:** მაშინ ესე გეტყვი, ის რაც ეხლა მე მჭირს, შენი ხელიდან არ მჭირს, და ვისი ხელიდანაც მჭირს, იმან არ უნდა გაიგოს...

**გუგა:** რას მეუბნები, ვერ გავიგა...

**ვოვგა:** როგორ ვუთხრა აბა...

**გუგა:** ციციშვილი?

**ვოვგა:** მერხის რეზინის დრინები გახსოვს?

**გუგა:** კი.

**ვოვგა:** მეც მახსოვს რა... ციციშვილს ეჭირა. რადაც დამიზიანდა ხერხემალში და ნელ-ნელა ტრაკზე დამსვა, ორი წელი ჩუმად ვკოჭლობდი... რაკეტა და ნაღმები მოგონილია, ბაგშვერი ამბავია, ვითომ რო გმირულად დაეცა ფრონტზე და ეგეთი ამბები... რა ვიცი, ნაღდად რაც მოხდა მაგ ვერსიას კი ჯობია, მედლები მაქ სახლში, ჩემი ძმა ოქრომჭედელია, ეროვნული გმირი ვარ, ბიჭო, უბრალოდ სურათები არ გადამიღია ერაყში, გამიგე? ის ტელეფონი, რითიც ვიღებდი, აფეთქდა.

ეს შენ იცი და ჩემმა ძმამ მარტო, შენც იმიტო გეუბნები, რო რატო გეუბნები, საერთოდ თუ ვიცოდე, ბოზიშვილი ვიყო, რო არ ვუთხრა, არ გამოვყლევდე ერთ დღესაც და არ ვუთხრა, გესმის?

**გუგა:** მესმის.

**ვოვგა:** რა კაი გოგოა, ბიჭო, მარიკა.

**გუგა:** ჰო.

**ვოვგა:** გემოვნება და ჩათლახი თვალი კი გქონდა ბაგშვობიდან, კუკუს ტურფასი არ იყოს.

**გუგა:** აუ, ვოვგა.

**ვოვგა:** თაგში წამომარტყი რა.

**გუგა:** რას მეუბნები.

**ვოვგა:** წამომარტყი რა, ოდონდ ისე რა, ჯანიანად, სკამზე ვზივარ და თვალი არა მაქ და ეგეთები არ გაითვალისწინო.

**გუგა:** შემეშვი რა.

**ვოვგა:** მიდი რა. გამიწიე ანგარიში. ერთი წამომარტყი.

**გუგა:** არ შემიძლია.

**ვოვგა:** ისე კარგად შეგიძლია რო... მიდი, ბიჭო, რა დაგემართა. ერთი წამომარტყი თაგში.

**გუგა:** რა გინდა, რას გადამეკიდევ?

**ვოვგა:** რა ქალაჩუნასავით იქცევი, ერთი წამომარტყი-მეთქი, საკაიფოდ როგორც იცოდი ხოლმე ადრე წამორტყმა

ისე, მიდი, თორე გაგახსენე ყველაფერი, კიდე თრ  
პარტიას გაბრავლებ, ისეთები მახსოვს, იცოდე.

**გუგა:** შემქმნელი რა.

**გოგა:** წამომარტყი და შეგეშვები, ძმაო. ეგეთი რამე გაგიგია,  
კაცს წამორტყმას თხოვდე და არ გისრულებდეს.

გუგა მოუღოვდნელად გააჯანებს და თავში  
წამოარტყამს კოვას. ძლიერად მოუვა. კოვა სკამზე  
შეტორტმანდება. აშკარად ეტკინება თავი. კოვა  
მცირვას აღვიდას ხელს იტრებს, გუგას გაბრა ზებული  
თვალებით უყურებს და ძლიერი წამორტყმით პასუხს  
უბრუნებს.

**გოგა:** მეტკინა, შეჩემა!

**გუგა:** მეც მეტკინა.

**გოგა:** დამაზანზარა, ტელეფონი სადაა, დაიტენებოდა,  
იყოს, მე ავიდებ. თამაშებს არ თამაშობ?

**გუგა:** არა, არ მევასება.

**გოგა:** ბიჭო, რაღაც თამაშია, გავიჭედე, ეერ გავდივარ  
შემდეგ ტურში და მაგისებს.

გოვა ტელეფონს იღებს და თამაშს რთავს, გუგასთან  
მიღის და აჩვენებს.

**გოგა:** ნახე, რამხელა მუტრუპია, სისხლი გამიშრო, ვერ  
გავცდი... მიდი, ეგრე, ვაას შენი, დამბრიდა... მიდი შენ  
აბა?

**გუგა:** არ ვიცი თამაში.

**გოგა:** მიდი, ავვილია. ამას და ამას უნდა აჭირო, არ გინდა?  
მაშინ გამიყვანე აქედან.

გუგა დგება, ეტლს კიდებს ხელს და ნელ-ნელა,  
გორაობა-გორაობით გაყავს კოვკა.

**გოგა:** ბიჭები გარეთ არიან და სურათი გადავიდოთ.  
კიბეებთან.

**გუგა:** აბა წავიდნენო?

ცარიელი საკლასო რთახი.  
სიბეჭდე.

დასასრული